## 4. გამოცდილება

№ დ საგანი	უფლებამოსილების და კვალიფიკაციის კრიტერიუმები						მოთხოვნა შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენაზე
	შესაბამისობის მოთხოვნა	შესატყვისობის მოთხოვნები				მოთხოვნა	
		ინდივიდუალური საწარმო	ტენდერის მონაწილე განზრახული ან არსებული ერთობლივი საწარმო				
			ყველა პარტნიორი ერთიანად	თითოეული პარტნიორი	მინიმუმ ერთი პარტნიორი		
4.1 მშენებლობის ზოგადი გამოცდილება	კონტრაქტორის, ქვეკონტრაქტორის, ერთობლივი საწარმოს წევრის ან მმართველი კონტრაქტორის როლში სამშენებლო კონტრაქტების შესრულების გამოცდილება მინიმუმ ბოლო <b>3 წლის</b> განმავლობაში, დაწყებული <b>2013 წლის 1 იანვრიდან</b> განაცხადის წარდგენის ბოლო თარიღამდე.	უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნებს	არ გამოიყენება	უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნებს	არ გამოიყენება	ფორმა EXP-4.1	
4.2 (ა) მშენებლობის კონკრეტული გამოცდილება	(i) მინიმალური რაოდენობის ანალოგიური <sup>4</sup> კონტრაქტები, რაც ქვემოთ არის მითითებული, რომლებიც დამაკმაყოფილებლად და არსებითად <sup>5</sup> იქნა დასრულებული კონტრაქტორის, ქვეკონტრაქტორის, ერთობლივი საწარმოს წევრის <sup>6</sup> ან მმართველი კონტრაქტორის როლში <b>2011 წლის 1 იანვრიდან</b> განაცხადის წარდგენის ბოლო თარიღამდე. (ii) მსგავსი სახის სამუშაოების კონტრაქტი ( <b>სავტომობილო ხიდების მშენებლობა და/ან რეკონსტრუქცია მალის ნაშენის სიგრძით არანაკლებ 12 მეტრი</b> ), როგორც კონტრაქტორის, მმართველი კონტრაქტორის, ან ქვეკონტრაქტორის სახით: <b>მინიმუმ ერთი (1) კონტრაქტი არანაკლებ 750,000 ლარის</b> ექვივალენტის ღირებულებით, ან <b>სამი (3) ან ნაკლები კონტრაქტი</b> (აღნიშნული ხასიათის), თითოეული არანაკლებ <b>250,000 ლარის</b> ექვივალენტის ღირებულებით, მაგრამ ჯამურად არანაკლებ <b>750,000 ლარის</b> ექვივალენტის ღირებულებით.	უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნებს	უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნებს <sup>7</sup>	არ გამოიყენება	არ გამოიყენება	ფორმა EXP-4.2 (ა)	
4.2 (ბ)	ზემოთმოყვანილი და ნებისმიერი სხვა კონტრაქტისათვის, რომელიც დასრულებულია ან განხორციელების პროცესშია კონტრაქტორის, ქვეკონტრაქტორის, ერთობლივი საწარმოს წევრის ან მმართველი კონტრაქტორის როლში <sup>8</sup> , ზემოთმოყვანილ 4.2 (ა) პარაგრაფში მითითებული	უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნებს	უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნებს	არ გამოიყენება	უნდა აკმაყოფილებდეს	ფორმა EXP-4.2 (ბ)	

	<p>პერიოდის პირველ კალენდარულ დღეს ან მის შემდგომ პერიოდში, წარმატებით დასრულებული მინიმალური სამშენებლო გამოცდილება ქვემოთმოყვანილ ძირითად საქმიანობებში<sup>9</sup>:</p> <p>1. ნაბურღ-ნატენი ხიმინჯის მოწყობა - სულ მცირე 92 მ<sup>3</sup>                  2. ბეტონის სამუშაოები - სულ მცირე 700 მ<sup>3</sup>                  3. ლითონის კონსტრუქციების მოწყობა - სულ მცირე 36 ტონა</p>				<p>ქვემოთ მოყვანილ მოთხოვნებს<sup>10</sup> არ გამოიყენება</p>	
--	--	--	--	--	---	--

4. სამუშაოთა ანალოგიურობა გულისხმობს სამუშაოთა მსგავსებას მათი ფიზიკური მოცულობის, სირთულის, განხორციელების მეთოდების, ტექნოლოგიების და სხვა თავისებურებების მიხედვით, როგორც ეს აღწერილია VII თავში (სამუშაოთა მოთხოვნები). მცირე ღირებულების კონტრაქტების (რომელთა ღირებულებაც მოთხოვნილზე ნაკლებია) დაჯამება საერთო მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად მიღებული არ იქნება.
5. არსებითად დასრულებული გულისხმობს 80% ან მეტი მოცულობის სამუშაოების დასრულებას კონტრაქტის ფარგლებში.
6. იმ კონტრაქტებისათვის, სადაც ტენდერის მონაწილე ერთობლივი საწარმოს წევრის ან ქვე-კონტრაქტორის სახით მონაწილეობდა, ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად გათვალისწინებული იქნება მხოლოდ ტენდერის მონაწილის წილი, ღირებულების მიხედვით.
7. ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში, მისი წევრების მიერ განხორციელებული კონტრაქტების ღირებულება არ გაერთიანდება იმის განსასაზღვრად დაკმაყოფილებულია თუ არა ერთეული კონტრაქტის მინიმალური ღირებულების მოთხოვნა. არამედ პირიქით, თითოეული წევრის მიერ განხორციელებული თითოეული კონტრაქტი უნდა აკმაყოფილებდეს ერთეული კონტრაქტის მინიმალური ღირებულების მოთხოვნას ერთეული ორგანიზაციისთვის. იმის განსასაზღვრად აკმაყოფილებს თუ არა ერთობლივი საწარმო კონტრაქტების საერთო რაოდენობის მოთხოვნას, გაერთიანდება ყველა წევრის მიერ განხორციელებული მხოლოდ იმ კონტრაქტების რაოდენობა, რომელთა ღირებულება უდრის ან აღემატება მინიმალურ მოთხოვნილ ღირებულებას.
8. იმ კონტრაქტებისათვის, რომელშიც ტენდერის მონაწილე ერთობლივი საწარმოს წევრის ან ქვე-კონტრაქტორის სახით მონაწილეობდა, მხოლოდ ტენდერის მონაწილის წილი ჩაითვლება ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.
11. მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია სპეციალიზირებული ქვე-კონტრაქტორის მეშვეობით.
9. ძირითადი საქმიანობების მოცულობის, რაოდენობის ან წარმადობის ჩვენება შესაძლებელია ერთი ან მეტი კონტრაქტის კომბინაციით, თუკი ისინი შესრულებულია ერთი და იგივე პერიოდის განმავლობაში. წარმადობად ითვლება ძირითადი სამშენებლო საქმიანობის (საქმიანობების) წლიური წარმადობის მაჩვენებელი.
10. გამოცდილების მინიმალური მოთხოვნა რამოდენიმე კონტრაქტისათვის უნდა იყოს მინიმალური მოთხოვნების ჯამი შესაბამისი ინდივიდუალური კონტრაქტებისათვის.

## 5 პერსონალი

ტენდერის მონაწილემ უნდა აჩვენოს, რომ საკვანძო თანამდებობებისათვის მას ჰყავს პერსონალი, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

№	თანამდებობა	ჯამური მსგავსი სამუშაო გამოცდილება (წლები)	მსგავსი სამუშაოების გამოცდილება
1	პროექტის მენეჯერი	10	5
2	სამუშაოთა ზედამხედველი	5	3
3	ხარისხის ინჟინერი	5	3

შენიშვნა: საჭიროების შემთხვევაში კონტრაქტორს შეუძლია დამატებითი ინფორმაცია მოიძიოს [www.worknet.gov.ge](http://www.worknet.gov.ge) ვებ-გვერდზე

ტენდერის მონაწილემ უნდა წარმოადგინოს დეტალური ინფორმაცია შემოთავაზებული პერსონალისა და მათი გამოცდილების შესახებ IV თავში (სატენდერო ფორმები) მოცემული ფორმების გამოყენებით

## 6 აღჭურვილობა

ტენდერის მონაწილემ უნდა აჩვენოს, რომ მისთვის ხელმისაწვდომია კონტრაქტორისათვის საჭირო ქვემოთ ჩამოთვლილი ძირითადი აღჭურვილობა:

№	დასახელება	რაოდენობა
1	2	3
1	ბულდოზერი 130 ც/მ	1
2	კოჭმზიდი	1
3	კომპლექტი შნეკური ბურღისათვის	1
4	ბეტონმზიდი 5 – 6 კბ/მ	2
5	ამწე 30 ტ	1
6	ექსკავატორი ჩამჩის მოც. 0.65 მ <sup>3</sup>	2

ტენდერის მონაწილემ უნდა წარმოადგინოს უფრო დეტალური ინფორმაცია შემოთავაზებული აღჭურვილობის შესახებ IV თავში წარმოდგენილი ფორმის გამოყენებით.

## თავი VII - სამუშაოთა მოთხოვნები

## სპეციფიკაციები

იხ. თანდართული ფაილები:

[02 დეტალური და ზოგადი სპეციფიკაციები](#)

---

## ნახაზები

07 ნახაზები (თანდართულია)

ნახაზების ჩამონათვალი:

1. განმარტებითი ბარათი;
2. უწყისები;
3. ნახაზები;
  - ხელედის საყრდენი კედლები – 5 გვ;
  - ლენტეხის ქუჩები \_ 8 გვ;
  - დურაშის ხიდი \_ 22 გვ;
  - მამი-ედიყის ხიდი \_ 23 გვ;
  - ჭელეშის ხიდი \_ 23 გვ;
  - ტვიზის ხიდი \_ 23 გვ.

## სამუშაოთა მოცულობების ჩამონათვალი

### ა. პრემბულა

1. სამუშაოთა მოცულობების ჩამონათვალი შემდეგ დოკუმენტებთან ერთად განიმარტება: „ინსტრუქციები ტენდერის მონაწილეთათვის“, „კონტრაქტის ზოგადი და კონკრეტული პირობები“, „ტექნიკური სპეციფიკაციები“ და ნახაზები.
2. მასალათა და სამუშაოთა მოცულობების ჩამონათვალში მოცემული მოცულობები წინასწარი და პირობითია, ისინი წარმოდგენილია ტენდერისათვის საერთო საფუძვლის უზრუნველსაყოფად. გადახდის საფუძველს უნდა წარმოადგენდეს შეკვეთილი და განხორციელებული სამუშაოების ფაქტიური მოცულობები, რომელიც კონტრაქტორის მიერ არის დაანგარიშებული, ინჟინერის მიერ დამოწმებული და შეფასებულია განფასებულ მასალათა და სამუშაოთა მოცულობების ჩამონათვალში შემოთავაზებულ ტარიფებად და ფასებად, სადაც ამის შესაძლებლობა არსებობს, სხვა შემთხვევაში კი იმ ტარიფებად და ფასებად, რაც პროექტის მენეჯერს შეუძლია დაადგინოს კონტრაქტის პირობების ფარგლებში.
3. განფასებულ მასალათა და სამუშაოთა მოცულობების ჩამონათვალში წარმოდგენილი ტარიფები და ფასები, იმ შემთხვევების გარდა თუ კონტრაქტში სხვაგვარად არ არის მითითებული, მოიცავს ყველანაირ სამშენებლო დანადგარს, მუშახელს, ზედამხედველობას, მასალებს, მონტაჟს, ტექნომსახურებას, დაზღვევას, მოგებას, გადასახადებს და მოსაკრებლებს, სხვა ყველა დანარჩენ რისკს, ვალდებულებასა და მოვალეობას, რომელიც კონტრაქტით არის გათვალისწინებული.
4. ტარიფი ან ფასი განფასებულ მასალათა და სამუშაოთა მოცულობების ჩამონათვალში ყოველი პუნქტის გასწვრივ უნდა იყოს მოცემული, იქაც სადაც მოცულობები არის მოცემული და იქაც სადაც არ არის. იმ პუნქტების ღირებულება, რომლისთვისაც კონტრაქტორს ტარიფი ან ფასი არ მიუთითებია, მასალათა და სამუშაოთა მოცულობების ჩამონათვალის სხვა ტარიფებითა და ფასებით დაიფარება.
5. კონტრაქტის პირობებთან შესატყვისობის მთელი ღირებულება უნდა შევიდეს განფასებულ მასალათა და სამუშაოთა მოცულობების ჩამონათვალის პუნქტებში.
6. აუცილებელი არ არის, რომ ზოგადი ინსტრუქციები და სამუშაოთა და მასალების აღწერილობა განმეორდეს ან შეჯამდეს მასალათა და სამუშაოთა მოცულობების ჩამონათვალში. საკონტრაქტო დოკუმენტაციის შესაბამისი სექციების მითითება უნდა მოხდეს განფასებულ მასალათა და სამუშაოთა მოცულობების ჩამონათვალში ყოველი პუნქტის გასწვრივ ფასის შეყვანამდე.
7. მასალათა და სამუშაოთა მოცულობების ჩამონათვალში შეტანილი და შესაბამისად გათვალისწინებული პირობითი თანხები უნდა გაიხარჯოს მთლიანად ან ნაწილობრივ, პროექტის მენეჯერის მითითებითა და მისი შეხედულებისამებრ.
8. ყველა სამუშაო, რომელიც მითითებულია სამუშაოთა განფასებულ უწყისში უნდა დაანგარიშდეს ფაქტიური აზომვებით იმ ერთეულის ფასზე და განზომილებაზე და ასევე ფაქტიურ მოცულობებზე დაყრდნობით, რომელიც ზედმიწევნით განხორციელდა კონტრაქტის ან შემდეგში პროექტის მენეჯერის მიერ წერილობით გაცემული ინსტრუქციების შესაბამისად. არ ანაზღაურდება მშენებლობისათვის გამოყენებული დროებითი ნაგებობების, სამშენებლო

ტერიტორიის მოწყობის, მანქანა-დანადგარების მუშაობის ხარჯები, რამდენადაც ეს ხარჯები უნდა გათვალისწინებულ იქნას სატენდერო წინადადების ფასში.

9. დამკვეთი შეასწორებს შეცდომებს, რაშიც იგულისხმება ნებისმიერი არითმეტიკული შეცდომები, რომელიც დაშვებული იყო დაანგარიშებისას ან შეჯამებისას, კერძოდ:

(ა) სადაც არსებობს შეუსაბამობა ციფრებსა და მათ სიტყვიერ ფორმულირებას შორის, უპირატესობა მიენიჭება სიტყვიერ ფორმულირებას; და

(ბ) სადაც არსებობს შეუსაბამობა ერთეულის ღირებულებასა და ერთეულის ფასისა და მოცულობის გამრავლების შედეგად მიღებულ თანხას შორის, უპირატესობა მიენიჭება ერთეულის ღირებულებას, იმ შემთხვევის გამოკლებით, როდესაც დამკვეთის აზრით, ერთეულის ფასის წარმოდგენისას სახეზეა უხეში შეცდომა მეათედების გამომყოფი წერტილის დასმაში, ამ შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ჯამს და კორექტირებული იქნება ერთეულის ღირებულება.

10. კლდოვანი ქანი ეწოდება ყველა იმ მასალას, რომელიც პროექტის მენეჯერის აზრით, საჭიროებს აფეთქებას, ან მეტალის სოლების და უროების გამოყენებას, ან ჰაერის ჩაბერვით ბურღვას ლიკვიდაციისათვის და რომლის ლიკვიდაციაც შეუძლებელია 150 ცხენისძალიანი ტრაქტორით ერთი, უკან დამონტაჟებული მძლავრი გამაფხვიერებელით.

## ბ. სამუშაოთა პუნქტები

1. მასალათა და სამუშაოთა მოცულობების ჩამონათვალი ჩვეულებრივ შეიცავს შემდეგ უწყისებს, რომელიც დაჯგუფებულია სამუშაოების ხასიათისა და ვადების მიხედვით:

- უწყისი. 1—ზოგადი პუნქტები;
- უწყისი. 2—მიწის სამუშაოები;
- უწყისი. 3—წყალსატარები და ხიდები;
- უწყისი. 4—და ა.შ. საჭიროებისამებრ;
- დღიური სამუშაოების ცხრილი; და
- კრებსითი ხარჯთაღრიცხვა

2. ტენდერის მონაწილეები მასალათა და სამუშაოთა მოცულობების ჩამონათვალში ფასებს წარმოადგენენ მხოლოდ ადგილობრივ ვალუტაში.

## გ. დღიური სამუშაოების გრაფიკი

### ზოგადი

1. ინჟინრის წერილობითი განკარგულების გარეშე სამუშაოები არ შესრულდება დღიური სამუშაოების საფუძველზე. ტენდერის მონაწილეებმა გრაფიკში უნდა მიუთითონ დღიური სამუშაოების პუნქტების სატარიფო განაკვეთები, რომლებიც გამოყენებული იქნება ინჟინრის მიერ დაკვეთილი დღიური სამუშაოების ნებისმიერი მოცულობისათვის. ნომინალური მოცულობები მითითებული იქნა დღიური ნორმის ყოველი ცალკეული პუნქტის გასწვრივ და დღიური ნორმისათვის გამოყოფილი ჯამური თანხა პირობითი თანხის სახით იქნება გადატანილი სატენდერო წინადადების ჯამურ ღირებულებაში. თუკი სხვაგვარი კორექტივები არ იქნება შეტანილი, დღიური ნორმის გადახდები დაექვემდებარება ფასის კორექტირებას კონტრაქტის პირობების შესაბამისად.

### დღიური სამუშაოების სამუშაო ძალა

2. დღიური სამუშაოების შესრულებაში კონტრაქტორისათვის გადასახდელი თანხის გამოსათვლელად, მუშაობის საათებად ჩაითვლება დღიური სამუშაოების კონკრეტული პუნქტის შესასრულებლად მუშახელის ობიექტზე მისვლის დროიდან იმ დრომდე მონაკვეთი, როდესაც იგი საწყის ადგილმდებარეობას დაუბრუნდება, შესვენების და კვების პერიოდების გამოკლებით. გაიზომება მხოლოდ იმ მუშახელის დრო, რომელიც უშუალოდ ინჟინრის დაკვეთას ასრულებს და რომელსაც გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია. ასევე გაიზომება ბრიგადირების დრო, რომლებიც ფაქტიურად ბრიგადებთან ერთად მუშაობენ, მაგრამ არ გაიზომება სამუშაოთა მწარმოებლების ან სხვა ზედამხედველი პერსონალის დრო.

3. კონტრაქტორის კუთვნილი გადახდა დაკავშირებულია მუშახელის მიერ დღიური სამუშაოების შესრულების დროსთან, რაც დაიანგარიშება იმ სატარიფო განაკვეთებით, რომელიც კონტრაქტორს შეჰყავს **დღიური სამუშაოების ტარიფების გრაფიკში**: 1. **მუშახელი**, სატარიფო განაკვეთზე დამატებითი პროცენტის გადახდებთან ერთად, რაც წარმოადგენს კონტრაქტორის მოგებას, ზედნაღებ ხარჯებს და ა.შ.<sup>1</sup>, როგორც ქვემოთ არის აღწერილი:

(ა) მუშახელის სატარიფო განაკვეთი მოიცავს კონტრაქტორის ყველა პირდაპირ ხარჯს, ქვემოთმოყვანილის (მაგრამ არა მარტო ქვემოთმოყვანილის) ჩათვლით: ამგვარი მუშახელისათვის გადახდილი ხელფასების თანხას, ტრანსპორტირების დროს, ზედმეტ სამუშაო დროს, დღიურებს (ავანსებს) და ნებისმიერ თანხას რომელიც ამ მუშახელს გადაეხდება ან მისი სახელით გადაიხდება სოციალურ დაცვისათვის საქართველოს კანონმდებლობის თანახმად. ტარიფები მხოლოდ ადგილობრივ ვალუტაში იქნება გადახდილი.

(ბ) ტენდერის მონაწილის მიერ კოტირებული დამატებითი პროცენტის გადახდა უნდა გამოიყენებოდეს იმ ხარჯებისათვის, რომელიც გაწეული იქნა ზემოხსენებულის (ა) ფარგლებში. იგი მოიცავს კონტრაქტორის მოგებას,

<sup>1</sup> მოგებისა და ზედნაღები ხარჯების ცალკე მითითების ეს მეთოდი აიოლებს საჭიროების შემთხვევაში დღიური სამუშაოების პუნქტების ჩამატებას, რომელთა საწყისი ღირებულების კონტროლი უფრო გაადვილდება.

ზედნადებ ხარჯებს, ზედამხედველობას, დავალიანებებს, სადაზღვევო თანხებსა და შეღავათებს მუშახელისათვის, სატაბელო აღრიცხვას, სამდივნო და საოფისე სამუშაოს, წარმოებისათვის საჭირო დამატებით რესურსებს, წყალს, განათებასა და ენერჯიას; ხარაჩოების, სტელაჟების, სახელოსნოების, საწყობების, პორტატიული მექანიზირებული ინსტრუმენტების, გადასატანი დანადგარებისა და ხელის ინსტრუმენტების გამოყენებასა და შეკეთებას; ზედამხედველობას კონტრაქტორის პერსონალის, სამუშაოთა მწარმოებლებისა და სხვა მეთვალყურე პერსონალის მიერ; და ზემოხსენებულთან დაკავშირებულ გადასახადებს. ამ პუნქტისათვის გადახდები კონტრაქტში მითითებულ ეროვნულ ვალუტაში იწარმოებს:

- (i) პროცენტი (კოტირებული უნდა იქნას ტენდერის მონაწილის მიერ).

#### დღიური სამუშაოების მასალები

4. კონტრაქტორის კუთვნილი გადახდა დაკავშირებულია დღიური სამუშაოებისათვის გამოყენებულ მასალებთან (იმ მასალების გარდა, რომელთა ღირებულებაც შედის მუშახელის ღირებულების პროცენტულ დანამატში, რაც ქვემოთ არის დეტალიზებული), რაც დაიანგარიშება იმ სატარიფო განაკვეთებით, რომელიც კონტრაქტორს შეჰყავს **დღიური სამუშაოების ტარიფების გრაფიკში: 2. მასალები**, სატარიფო განაკვეთზე დამატებით პროცენტის გადახდებთან ერთად, მოგებისა და ზედნადები ხარჯების დასაფარად, როგორც ქვემოთ არის აღწერილი:

- (ა) სატარიფო განაკვეთები მასალებისათვის დაანგარიშდება ანგარიშფაქტურებში მითითებული ფასის, ტრანსპორტირების ღირებულების, დაზღვევის, ჩამოტვირთვის, ზარალის, დანაკარგების, და ა.შ. საფუძველზე, მასში ასევე გათვალისწინებული იქნება მასალის ობიექტზე მიტანა დასაწყობად. სატარიფო განაკვეთები ადგილობრივ ვალუტაში იქნება წარმოდგენილი, და გადახდა იწარმოებს იმავე ვალუტაში.
- (ბ) დამატებითი პროცენტის გადახდა ტენდერის მონაწილის მიერ უნდა იქნას კოტირებული და გამოიყენებოდეს გადახდებისათვის, რომელიც განხორციელებული იქნა ზემოხსენებულის (ა) ფარგლებში.

- (i) პროცენტი (წარმოდგენილი უნდა იქნას ტენდერის მონაწილის მიერ).

- (გ) საწყობიდან ან ობიექტის საცავიდან მასალების დღიური სამუშაოებისათვის გამოყენების ადგილას გადატანის ხარჯი გადახდილი იქნება ამ გრაფიკში მოცემული მუშახელისა და მშენებლობის პირობების შესაბამისად.

#### დღიური სამუშაოების კონტრაქტორის აღჭურვილობა

5. კონტრაქტორის კუთვნილი გადახდა დაკავშირებულია დღიური სამუშაოებისათვის გამოყენებულ ობიექტზე მყოფ კონტრაქტორის აღჭურვილობასთან, რომლის იჯარის სატარიფო განაკვეთი მის მიერ არის შეყვანილი **დღიური სამუშაოების ტარიფების გრაფიკში: 3. კონტრაქტორის აღჭურვილობა**. ზემოხსენებული ტარიფები უნდა შეიცავდეს ამორტიზაციის

კუთვნილ და სრულ საგადასახადო შეღავათს, პროცენტს, კომპენსაციას, დაზღვევას, რემონტს, ტექნომსახურებას, რეზერვებს, საწვავს, საპოხ მასალას, სხვა წარმოებისათვის საჭირო დამატებით რესურსებს და ასევე ყველა ზედნადებ ხარჯს, მოგებას და ადმინისტრაციულ ხარჯს, რომელიც ამგვარი აღჭურვილობის გამოყენებასთან არის დაკავშირებული. მძღოლების, ოპერატორების, და ასისტენტების ხარჯი ცალკე იქნება დაფარული დღიური სამუშაოების მუშახელის სექციაში აღწერილი პირობების თანახმად.

6. დღიური სამუშაოების ფარგლებში კონტრაქტორის მიერ გამოყენებული აღჭურვილობისათვის კონტრაქტორის კუთვნილი გადახდის დასაანგარიშებლად, ანაზღაურებადი იქნება მხოლოდ სამუშაო საათების ფაქტიური რაოდენობა, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ინჟინერთან სხვაგვარად არის შეთანხმებული, ანაზღაურებადი იქნება ასევე მგზავრობის დრო ობიექტის იმ ზონიდან, სადაც ინჟინერის მიერ დღიური სამუშაოებისათვის დაკვეთილი კონტრაქტორის აღჭურვილობა იყო განთავსებული და უკან დასაბრუნებლად საჭირო დროის მონაკვეთი.

7. დღიური სამუშაოებისათვის გამოყენებული კონტრაქტორის აღჭურვილობის იჯარის სატარიფო განაკვეთი ადგილობრივ ვალუტაში უნდა იქნას წარმოდგენილი, და გადახდები კონტრაქტორისათვის იწარმოებს კონტრაქტში მითითებულ ვალუტაში:

(i) პროცენტი (წარმოდგენილი უნდა იქნას ტენდერის მონაწილის მიერ).

## დამატებითი ინფორმაცია

*არ გამოიყენება*

---

თავი VIII. კონტრაქტის კონკრეტული პირობები

<b>ა. ზოგადი</b>	
კონტრაქტის ზოგადი პირობები 1.1 (დ)	დამფინანსებელი ინსტიტუტი არის: <b>მსოფლიო ბანკი – რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD)</b>
კონტრაქტის ზოგადი პირობები 1.1 (ს)	დამკვეთი არის: <b>საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი</b> მისამართი: <b>დავით აღმაშენებლის გამზ. #150</b> სართული/ოთახის ნომერი: <b>ოთახი 301, III სართული</b> ქალაქი: <b>თბილისი</b> საფოსტო ინდექსი: <b>0112</b> ქვეყანა: <b>საქართველო</b>
კონტრაქტის ზოგადი პირობები 1.1 (ზ)	მთლიანი სამუშაოების დასრულების დაგეგმილი თარიღი: სამუშაოთა დაწყებიდან <b>12 (თორმეტი) თვე</b> .
კონტრაქტის ზოგადი პირობები 1.1 (შ)	პროექტის მენეჯერი: <b>საკონსულტაციო კომპანია „ეპტისა სერვისის დე ინჟინერია ეს.ელ (ესპანეთი)“</b>
კონტრაქტის ზოგადი პირობები 1.1 (ც)	<b>ობიექტი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთის რეგიონში, ლენტეხის მუნიციპალიტეტში, თბილისიდან 350 კმ. მანძილზე</b>
კონტრაქტის ზოგადი პირობები 1.1 (ჭ)	სამუშაოების დაწყების თარიღია: <b>კონტრაქტის ხელმოწერიდან 15 დღეში.</b>
კონტრაქტის ზოგადი პირობები 1.1 (აა)	<b>პროექტი ითვალისწინებს</b> სოფ. ტვიში მდ. მუხურაზე, (სიგრძით 24მ) სოფ. ჭელეშის, (სიგრძით 24მ) ხიდების მშენებლობას, სოფ. დურაშის, (სიგრძით 21მ) საავტომობილო ხიდის რეაბილიტაციას, სოფ. ხელედში ზედა და ქვედა საყრდენი კედლების მოწყობას, (სიგრძით 145მ) დაბა ლენტეხში ქუჩების კეთილმოწყობას, (სიგრძით 3.5კმ) და სოფ. მამი-ედისის მიმართულებით ხიდის მშენებლობას სიგრძით 12 მ.  <b>ძირითადი სარეაბილიტაციო სამუშაოების მოცულობებია:</b>  1. ბეტონი 886.7 კუბ.მ; (თანახმად, მაგრამ არ შემოიგარგლება ზოგადი სპეციფიკაციების #1.7 თავისა) 2. არმატურა 18 ტნ; (თანახმად, მაგრამ არ შემოიგარგლება ზოგადი სპეციფიკაციების #1.8 თავისა) 3. ლითონკონსტრუქციები 44.78 ტნ; (თანახმად, მაგრამ არ შემოიგარგლება ზოგადი სპეციფიკაციების #1.4 თავისა) 4. გაბიონის ყუთები 1502 კუბ.მ; (იხ. ნახაზი #4, ჭელეშის ხიდი) 5. ნაბურღ-ნატენი ხიმიწი 115.2 კუბ.მ; (თანახმად, მაგრამ არ შემოიგარგლება ზოგადი სპეციფიკაციების #1.2.4 თავისა) 6. ლითონის დგარები 302 გრძ.მ; (თანახმად, მაგრამ არ შემოიგარგლება ზოგადი სპეციფიკაციების #1.5 თავისა) 7. ქვის ლოდები დ=1.0 მ. 95 კუბ.მ.
კონტრაქტის ზოგადი პირობები 2.2	ობიექტის ნაწილ-ნაწილ დასრულება: <b>არ გამოიყენება</b>

კონტრაქტის ზოგადი პირობები 2.3 (ი)	შემდეგი დოკუმენტები ასევე წარმოადგენს კონტრაქტის ნაწილს: <b>გარემოსდაცვითი მართვის გეგმა</b>
კონტრაქტის ზოგადი პირობები 3.1	კონტრაქტის ენა: <b>ქართული</b> პროექტის მენეჯერთან საკომუნიკაციო ენა: <b>ქართული და ინგლისური</b> კონტრაქტის მარეგულირებელი კანონმდებლობა: <b>საქართველოს კანონმდებლობა</b> საკონტრაქტო დეფინიციების სხვაობების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება <b>ქართულ</b> ენას.
კონტრაქტის ზოგადი პირობები 5.1	პროექტის მენეჯერს <b>არ შეუძლია თავისი ნებისმიერი ვალდებულებებისა და მოვალეობების სხვა პირებისათვის გადაცემა.</b>
კონტრაქტის ზოგადი პირობები 8.1	სხვა კონტრაქტორების გრაფიკი: <b>ა/გ</b>
კონტრაქტის ზოგადი პირობები 13.1	დაზღვევის მინიმალური თანხა და სხვა გამოსაქვითი თანხები: (ა) მინიმალური სადაზღვევო დასაფარი თანხები სამუშაოების, ქარხნის/დანადგარების და მასალებისათვის: კონტრაქტის ღირებულების <b>ას ათი (110) პროცენტი.</b> მაქსიმალური სადაზღვევო დასაკავებელი თანხები სამუშაოების, ქარხნის/დანადგარების და მასალების დაზღვევისათვის: <b>8,500 ლარი;</b> (ბ) მინიმალური სადაზღვევო დასაფარი თანხები მანქანა-დანადგარების დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში: <b>200,000 ლარი.</b> მაქსიმალური დასაკავებელი თანხები მანქანა-დანადგარების დაზღვევისათვის: <b>8,500 ლარი;</b> (გ) მინიმალური სადაზღვევო დასაფარი თანხები კონტრაქტთან დაკავშირებული ქონების (სამუშაოების, ქარხნის/დანადგარების და მასალების გარდა) დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში: <b>150,000 ლარი.</b> მაქსიმალური დასაკავებელი თანხები მესამე სხვა ქონების დაზღვევისათვის – <b>8,500 ლარი;</b> (დ) მინიმალური სადაზღვევო დასაფარი თანხები ტრამვისა და სიკვდილის შემთხვევაში შეადგენს: (i) კონტრაქტორის პერსონალისათვის: <b>5,000 ლარს/კაცზე,</b> მთლიანობაში მინიმუმ <b>100,000 ლარს;</b> (ii) მესამე პირთათვის <b>50,000 ლარს.</b>
კონტრაქტის ზოგადი პირობები 14.1	ობიექტის მონაცემები: <b>არ გამოიყენება</b>
კონტრაქტის ზოგადი პირობები 20.1	ობიექტის ტერიტორიის გადაცემის თარიღ(ებ): <b>კონტრაქტის ორმხრივად ხელმოწერის დღე.</b>
კონტრაქტის ზოგადი პირობები 23.1 და 23.2	მომრიგებლის დამნიშნავი უწყება: <b>დავების განმხილველი ცენტრი</b> ვაჟა-ფშაველას 71, კვარტალი, 1 სართული ტელ: 032 2 207 327 ელ-ფოსტა: info@drc-arbitration.ge
კონტრაქტის ზოგადი პირობები 24.3	მომრიგებლის საათობრივი ანაზღაურების განაკვეთი და ანაზღაურებადი ხარჯების ტიპები: <b>გადახდის თარიღისათვის 150 აშშ დოლარის ექვივალენტი საათში</b>

კონტრაქტის ზოგადი პირობები 24.4	უწყებები, რომელთა არბიტრაჟის რეგლამენტიც იქნება გამოყენებული: <b>საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისი.</b>  არბიტრაჟის მისამართია: <b>დავების განმხილველი ცენტრი</b> ვაჟა-ფშაველას 71, კვარტალი, 1 სართული ტელ: 032 2 207 327 ელ-ფოსტა: info@drc-arbitration.ge
<b>ბ. ვადების კონტროლი</b>	
კონტრაქტის ზოგადი პირობები 26.1	კონტრაქტის ხელმოწერის თარიღიდან <b>7 დღის</b> განმავლობაში კონტრაქტორმა დასამტკიცებლად უნდა წარმოადგინოს სამუშაოების პროგრამა.
კონტრაქტის ზოგადი პირობები 26.3	სამუშაოთა პროგრამის განახლება უნდა მოხდეს <b>30 დღიანი</b> ინტერვალებით განახლებული სამუშაოთა პროგრამის დაგვიანებით წარდგენის შემთხვევაში დაკავებული იქნება <b>20,000 ლარი</b>
<b>გ. ხარისხის კონტროლი</b>	
კონტრაქტის ზოგადი პირობები 34.1	დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდი შეადგენს <b>365</b> დღეს.
<b>დ. ხარჯების კონტროლი</b>	
კონტრაქტის ზოგადი პირობები 44.1	<b>არ გამოიყენება</b>
კონტრაქტის ზოგადი პირობები 45.1	კონტრაქტი <b>არ ექვემდებარება</b> ფასის კორექტირებას კონტრაქტის ზოგადი პირობების 45-ე პარაგრაფის შესაბამისად
კონტრაქტის ზოგადი პირობები 46.1	დაკავებული გადახდების წილი შეადგენს: <b>5%</b>
კონტრაქტის ზოგადი პირობები 47.1	მთელი ობიექტის სამუშაოების დასრულების ვადის გადაცილების ჯარიმა შეადგენს კონტრაქტის საბოლოო ფასის <b>0,1 %</b> თითოეულ გადაცილებულ დღეზე. მთელი ობიექტის სამუშაოების ვადაგადაცილების ჯარიმის მაქსიმალური თანხა შეადგენს კონტრაქტის საბოლოო ფასის <b>10%</b>
კონტრაქტის ზოგადი პირობები 48.1	პრემია (ბონუსი) ობიექტზე მთელი სამუშაოების დადგენილ ვადაზე ადრე დასრულების შემთხვევაში ყოველი დღისათვის: <b>არ გამოიყენება</b>
კონტრაქტის ზოგადი პირობები 49.1	ავანსი შეადგენს <b>20%</b> და კონტრაქტორისათვის გადახდილი იქნება არა უგვიანეს <b>28 დღის</b> განმავლობაში დამკვეთისათვის მისაღები, იგივე ოდენობის ბანკის მიერ გაცემული საავანსო გადახდის საბანკო გარანტიის წამოდგენის შემდეგ. თუკი გარანტია გაცემულია საქართველოს ფარგლებს გარეთ მოქმედი ბანკის მიერ, გარანტია დამოწმებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი ბანკის მიერ, რომელიც უზრუნველყოფს მისი ამოქმედების შესაძლებლობას.

<p><b>კონტრაქტის ზოგადი პირობები 50.1</b></p>	<p>კონტრაქტის შესრულების გარანტიის თანხა შეადგენს კონტრაქტის ღირებულების <b>10%-ს</b> და წარმოდგენილი უნდა იყოს ბანკის მიერ გაცემული უპირობო (პირველივე მოთხოვნისთანავე) საბანკო გარანტიის სახით. თუკი გარანტია გაცემულია საქართველოს ფარგლებს გარეთ მოქმედი ბანკის მიერ, გარანტია დამოწმებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი ბანკის მიერ, რომელიც უზრუნველყოფს მისი ამოქმედების შესაძლებლობას.</p> <p>(ა) უპირობო საბანკო გარანტია: - კონტრაქტის ფასის <b>10%</b></p> <p>გარანტია უნდა იყოს უპირობო (პირველივე მოთხოვნისთანავე) (იხ. ნაწილი X, საკონტრაქტო ფორმები).</p>
<p><b>ე. კონტრაქტის დასრულება</b></p>	
<p><b>კონტრაქტის ზოგადი პირობები 56.1</b></p>	<p>თარიღი რომლისთვისაც მომზადებული უნდა იყოს ექსპლუატაციისა და ტექნიკური მომსახურების სახელმძღვანელო: <b>არ გამოიყენება</b></p> <p>თარიღი რომლისთვისაც მომზადებული უნდა იყოს საშემსრულებლო ნახაზები <b>არის კონტრაქტის დასრულების თარიღი</b></p>
<p><b>კონტრაქტის ზოგადი პირობები 56.2</b></p>	<p>თანხა, რომლის დაკავება მოხდება იმ შემთხვევაში თუ არ იქნება წარმოდგენილი დამთავრებული საშემსრულებლო ნახაზები და/ან ექსპლუატაციისა და ტექნიკური მომსახურების სახელმძღვანელოები კონტრაქტის ზოგად პირობებში 58.1 მოთხოვნილი თარიღისათვის არის <b>20,000 ლარი</b></p>
<p><b>კონტრაქტის ზოგადი პირობები 57.2 (ზ)</b></p>	<p>დღეების მაქსიმალური რაოდენობა: <b>100</b></p>
<p><b>კონტრაქტის ზოგადი პირობები 58.1</b></p>	<p>პროცენტი, რომელიც გამოიყენება დაუსრულებელი სამუშაოების ღირებულების მიმართ ობიექტის დასასრულებლად დამკვეთის დამატებითი ხარჯებისათვის <b>10%</b></p>